

გამოცემა აღ. არაბიძისა.

ზ. პირვენა

# საქართველოს

ურთიერთობა

## ეპიდემიასთან

(XII საუკ.)

გუმბათი განეგენებულ

34031



მის მარჯორი უორდონის ასულის ხსოვნას.



ქართველ მეფების და ერის დამოკიდებულება  
ნა ევროპიულებთან.

ბევრი თათბირისა და რჩევის შემდეგ მეფე ერეკლემ გადასწყვიტა აზიური მონობის ჯაჭვის გაგლეჯა და ევროპასთან დაახლოება — მიმართვა, რაც მისთვის არც ისე ადვოლი იყო, რადგანაც იგი თვით სპარსეთში იყო აღზრდილი, აღმოსავლეთის ერთა პოლიტიკას კარგად იცნობდა, ხოლო ევროპიელთა შესახებ კი ბევრი არაფერი იცოდა. და რაც იცოდა ისიც კათოლიკის მისიონერებთაგან ქონდა გაგონილი და დაურღვმველ ჰეშმარიტებად მიაჩნდა. ევროპიელთ მეფე ერეკლე ისე უყურებდა, როგორც ნასწავლ და განათლებულ პირთ, მასთან საქრისტიანო სამეფოების მცხოვრებთ: რომელნიც მაღლა იდგენ მუსულმანებზე კულტურული ცხოვრებით დღე და ღამ ერეკლე მეფეს ევროპის რუკა ედგა თვალწინ და არა აღმოსავლეთის. ერეკლემ ბევრი რამ საყურადღებო ნახა ევროპიდან შემოტანილი საქართველოში. ყველა ეს მას უღვიძებდა და უხალისებდა სურვილს ევროპასთან დაკავშირებისას, თვით ჰუსეინ ყეინის წინათაც გადასწყვიტა ევროპასთან მიმართვა, დახმარების თხოვნა რათ ჰერეცერლომობაში ცოტნა და „ვალი გურჯისტანის“ სახელის თავიდან მოცილება.

„მე მეფე ვარ საქართველოსი, ქართულის წესით ნაკურთხედა გვირგვინებული და არა ვალი გურჯისტანისაა“ ამბობდა იგი. ამიტომაც მეფე ერეკლემ სამუდამოთ გადასწყვიტა კავშირი ასმალ-სპარსელებთან და თავის

უმთავრეს საგნად და აუცილებელ საქმედ ევროპიელებთან დაახლოება დაისახა. იგი თანახმა იყო თვით ევროპიელთა მფარველობასა და მონობაშიც კი უმფილიყო, ოღონდ მათთან დაახლოებას მტკიცე ნიადაგი ჰქონებოდა.

როგორც ზემოთაც ვახსენეთ, მეფე ერეკლემ თითქმის ერსა და იმავე დროს მიმართა რუსეთს, ინგლისს, ავსტრიის იმპერატორს, ესპანიას, იტალიას და ვენეციის რესპუბლიკასაც, ყველას დახმარებას სთხოვდა, ნამეტურ ევროპიელთ, რომელნიც ყოველთვის პირდებოდნენ და საქმე კი არა კეთდებოდი რა; ამის მიზეზი, რასაკვირველია, ყოველ თვის სიშორე და უგზო-უკვლობა იყო. საქართველოს მფარველობა ბედმა ისევ ქართველთ თანამორწმუნე რუსეთს არგუნა, ისევ ამათ ისურვეს ქართველთა დახმარება, ბევრის მიწერ-მოწერისა და დესპანების გზავნის შემდეგ, დაიწერა რუსთა და ქართველთა შეერთების ტრაკტიტი, ანუ პირობანი და 1783 წ. მთელი საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ იქნა გამოცხადებული. ეს განცვალება ოსმალ-სპარსთაც მაღლ შეიტყვეს რაც მათთვის დიდათ საგრძნობი და სამწუხაროც იყო.

რუსეთის მფარველობა გახდა იმის საფუძვლად, რომ ქ-რთლი და კახეთი 1801 წ. რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა, რის გამოც მეფე გიორგიმ იმპერატორ პავლეს დესპანიც კი გაუგზავნა. დესპანთა რიცხვი სამი კაცისაგან შესდგებოდა. მათს გარდა 12 ნაფიცი კაციც იყო. ამ დაკავშირების პირობებიც დაიდგა. პირობათ დარჩა ისევ ის ტრაკტიტი, რომელიც

1783 წ. იყო მიღებული ეკატირინე მეორეხაგან. ხოლო „კალმასობის“ ოქმით, ზოგიერთა მუხლი მიუმატეს, რუსეთთან შეერთება დააჩქარა იმ გარემოება- მაც, რომ მეფე გიორგის სამეფოს მოვლა-პატრიონობა არ შეეძლო.

აქ ჩვენ ამ საგანს გვერდს აუვლით და დაუბრუ- ნდებით ისევ იმ გარემოებასა და პირობებს, თუ რამ- დენად იყო მეფე ერეკლეში გაღვიძებული სურვილი ევროპასთან დახლოვებისა, ამ სურვილის განმტკიცე- ბას მასში დიდათ ხელს უწყობდენ პაატა ბატონიშვი- ლი და კათოლიკის მისიონერები, რომელნიც მუდამ მეფესთან იჯვნენ, მართალია, მეფე ერეკლე ამავე დროს ხშირად მიმართავდა ხოლმე რუსეთსა, მაგრამ რუსეთის დახმარების იმედი ნაკლებათ ჰქონდა, ვაი თუ არ მიგვილოს და გვიპატონონსო. ეს იყო მიზე- ზი, რომ მეფე რუსეთის გარეშე ეძებდა თავის მფარ- ველობას და 1780 წ. მან — მიწერ მოწერა გამართა ინგლისის, აფსტრიის, საფრანგეთის, იტალიის, და თვით ვენეციის რესპუბლიკის მთავრობასთან, მეფე ერეკლეს აზრით, ოსმალ-სპარსთა ასალაგმავათ მარ- ტოდ რუსები ვერას გახდებოდა, აქ მთელი ევროპის ძალა არის საჭიროვო. ამასვე არწმუნებდენ კათოლი- კის პატრებიც. მართლაც, გამართლდა მეფის უიმე- დობა; საქართველოს, რუსეთის მფარველობის ქვეშ გამოცხადებულს, 1795 წ. აღამაშვილის დაეცა და სასტიკად ააოხრა, აღამაშვილის გამოლაშქრების მი- ზეზი საქართველოზე სწორედ ეს დაახლოება იყო რუსეთთან და ევროპასთანა.

მეფემ იცოდა ოსმალ-სპარსეთა ასეთი მრისხანება და იგიც ამიტომ ევროპურდა როგორც რუსთს ისე მთელს ევროპას, რადგანაც ასპინძის ომის შემდეგ, ოსმალებთან ორჯელ კიდევ მოუხდა სასტიკი ომი, მაგრამ ვერც ახალციხე წაართვა და ვერც ახალ ქალაქი: არტაანს, შავშეთს და სხვა სამცხის აღვილებს ეს არ ეტანებოდა, თუმცა აქაური ქართველი კათოლიკენიც ყოველთვის ევერტებოდნენ ერეკლე მეფეს, რომ მას სამცხე-საათაბაგო როგორმე ასმალთაგან დაებრუნებია და ისევ საქართველოსთვის შეერთებია, ამ საქართველო დიდათ ხელს უწყობდენ ახალ ციხის ქართველი კათოლიკენი და ნამეტურ მათივე მისიონერები. კარგად სჩანს, რომ მეფე ერეკლემ თვით ევროპასაც კი იმიტომ მიმართა; რომ ეგები რუსთა და მათის დახმარებით მთელი სამცხე-საათაბაგო თუ არა, მის ნახევარი საქართველო მაინც შემოუერთო საქართველოს და ამით მაინც გავმაგრდეთო. ამ გარემოებას იმერეთის მეფე სოლომონ პირველიც დიდაც უწყობდა ხელს და ყოველ სამზადისისა და ომის დროს ჯარითა და სურსათით ეხმარებოდა, და რადგანაც მეფე ერეკლე ასეთი აზრისა იყო საქმის გარემოებაზე და ქართლის შინაურ მშვიდობიანობას ნატრობდა, 1780 წ. ევროპაში ელჩად გაგზავნა პატრი დომინიკე ტრიესტელი, ტომით იტალიელი, საქართველოში კარგა ხანს ნამყოფიპ ქარული ენის კარგი მცოდნე და დიდი მრჩეველი ერეკლე მეფისა. თვით ამ პატრიმა გააბედვინა მეფეს ევროპასთან მიმართვა. ამის საფუძვლად ისიც გახდა, რომ 1779 წ.

რომის ტახტმა ნშერეთის მეფეებ სოლომონს ექიმად გამოუგზავნა ავინონის უნივერსიტეტის პირველი ექიმი და პროფესორი ჰენიერ დელონგშან.

გულშემატკივარსა და გონიერ პატრს მეფემ ერთი წერილი გაატანა რომის პაპთან, მეორე წერილი რომისსაეე უფროსს კარდინალთან, მესამე საფრანგეთის მეფესთან, მეოთხე ავსტრის ხელმწიფესთან და მეხუთე ვენეციის ოსპუბლიკასთან. ამ წერილებს გარდა, მეფემ პატრ დომინიკეს ნება მისუა, რომ მთელის ევროპის სახელმწიფო პირებთა წინაშე თვით ელაპარაკნა პირადათ, მეფის თხოვნით, რისთვისაც მას თავისი დაწერილი და ხელმოწერილი მოწმობაც კი მისუა. ამავე პატრს მისუეს გზის საგდალი და მასთან პასპორტი, დაწერილი ქართულად, ლათინურად და თათრულად, პატრი დომინიკე 1780 წ. 20 ივნისს, კონსტანტინეპოლის მისულა, აქ ავათ გამხდარი და შივლისს გადაცვლილი მგზავრობაში, ამ პატრის გადაცვალების ცნობა და მეფისაგან გაგზავნილი წერილები კათოლიკის მისიონერებს კონსტანტინეპოლიდან რომის ტახტისათვის გაუგზავნიათ. პატრ-დომინიკეს გადაცვალების ცნობა საქართველოშიაც მაღლე მოსულა, რაც მეფეს დიდად წყენია. უფიქრია, ვაი თუ ოსმალებმა შეიტყვეს რამე და ამიტომ მომიწამლეს იგი და მით მომწყვატეს მარჯვენა მკლავიო. მეფე დიდათ დაადარდიანა ამ გარემოე-ამ, მიუხედავად ამისა, ევროპაზე იმედი მაინც არ გადაუწყვეტია.

ამ დროს მეფის კარზე სცხოვრობდა მეორე პატრი მავრო, ტომით იტალიელი, მეფის გულშემატკი-

ვარი და მორჩილი, მეფემ ახლა ამას დაავალა მგზავრობა, მხოლოდ ოსმალეთის გზით კი არა, რუსეთით ან პოლონეთით. პატრიმ მეფის თხოვნა შეისმინა და სამგზავროთ მოემზადა. დაუწერეს წერილები რომის პაპთან, ავსტრიის იმპერატორთან, საფრანგეთის, იტალიის და ესპანიის ხელმწიფებთან და ორი წერილიც ვენეციის რესპუბლიკის წინაშე. ეს წერილები საქართველოში თვით მავროს უთარგმნია ფრანგულად, რაზედაც მეფესაც ხელი მოუწერია.

წერილებს გარდა, მეფეს პატრი მავროსთვის პირადათაც ბევრი რამ დაუვალებია ევროპის ხელმწიფეთა წინაშე. ამის მოწმობაც უბოძა და მასთან პასპორტი დაწერილი ქართულად, ლათინურად და თათრულად, 14 მოემბერს, 1782 წ. ეს პატრი თბილისიდან გამგსავრებულა. ამას გაუვლია რუსეთი, მისული პოლონეთის ქალაქ ბერდოკოვცაში, საღაც აყალ გამხდარა, იქვე გადაცვლილა. პატრი მავროს მიერ წაღებული წერილები რომში პოლონეთის ორ კაპუცინს. წაულია, კარდინალისათვის გადაუციათ და მასთან პატრი მავროს გადაცვალებაც უცნობებიათ. მასთან აუწყეს თურმე ისიც, რომ პატრი ბევრს ლაპარაკობდა იმაზე, რომ მას მეფე ერეკლესაგან ბევრი დავალება პქონდა ევროპის ხელმწიფებთან პირადათ მოელაპარაკნაო. პატრი მავროს გადაცვალების ამბავი საქართველოშიაც დროით მოსულა. მეფე დიდათ შეწუხებულა და უტირნია მწარედ. ამ ორ უბედურების შემდეგ მეფეს გული გასტეხია.

რამდენიმე ხნის შემდეგ თბილისიდან უფროსი

პატრი ანდრია პალერმელი, მეფე ერეკლეს თხოვნით, წერილს სწერს უფროსს კარდინალს და სოხოვს, თუ მეფის წერილებმა ოქვნამდის მოაღწია, დაეგზავნათ დანიშნულებისამებრ. ამავე საგნის შესახებ მეორე წერილი გაიგზავნა თბილისიდან 19 ნოემბერს 1783 წ. რომის კარდინალს მეფის დავალებით, პატრი მავროს წერილები თავ-თავის კუთვნილებისამებრ დაურიგებია, რა ბედი მოჰყვა ამ წერილებს, ან როგორ შესვდენ მეფე ერეკლეს თხოვნას ევროპის სახელმწიფოები, ჩვენ ამაზედ არაფერი ვიცით.

უკანასკნელ დროს კი, რომის არქივებში ზოგი რამ ცნობა აღმოჩნდა. სხვათა შორის, აღმოჩნდა მხოლოდ ის, ორი წერილი, რომლითაც მეფე ერეკლემ ვენეციის რესპუბლიკას მიმართა. ამ წერილების პირი მე მივიღე იტალიადან 1898 წ. რაც ძველის დენიდან მოგვყავს აქ უცვლელად. აი, მისი ისტორიაც.

ვენეციაში (იტალიაში) არის მთავრობის ერთი ძველი არქივი, რომლის ოთახებისა და დარბაზების რიცხვიც ოთხასზე მეტი იქნება. ამ უზარმაზარ შენობას სახელიად ჰქვია: „archivio de stato“. დარბაზთა შორის არის ერთი დიპლომატიური დარბაზი, ანუ დარბაზი „მარგარიტა“ იხლანდელ დედოფლის სახელმობაზე. ამ დარბაზში, სხვათა შორის, გამოფენილია რამდენიმე წერილი და ცნობა მეფე ერეკლეს შესახებ. ზოგი წერილი ქართულად არის ნაწერი, ზოგი თათრულად და ზოგიც იტალიურად. ეს წერილები სიტყვა სიტყვით გადმოიწერა და გამოგზავნა ქართველმა მხითარისტმა დიონოსე კალატოზიანმა.

საქართველო ევროპას დაუახლოვდა XII საუკ.  
დავით აღმაშენებლის დროს, რომელსაც რომის  
ჰაპშა მისიონერები გამოუგზავნა საქართველოში.  
მისიონერებმა რამდენსამე ხანს დაჰყვეს ჩვენს ქვეყა-  
ნაში და შემდეგ, დავით აღმაშენებლის მფარველო-  
ბით, იგინი ჰაიასტანში გადავიდენ, სადაც პირვე-  
ლად კათოლიკობის ქადაგებას შეუდგენ. ჰაოსიანთ  
(სომებ) დაკავშირება კათოლიკობასთან ამ დროს  
მიეწერება, ამის ცნობა 1850 წ. კიევის რუსულ სა-  
სულიერო უურნალშიაც კი დაიბეჭდა.

XIII საუკ. დამდეგიდან რომის ჰაპებ თან მი-  
წერ-მოწერა დაიწყო რუსუდან დედოფალმა. რუსუ-  
დან დედოფალს ჰონირი მესამემ და გრიგორ IX-ებ  
ბევრჯერ თავისი ლოცვა კურთხევაც მოსწერეს და  
მისიონერებიც გამოუგზავნეს. ჯვაროსანთა ოში  
ქართველებმაც დილი მონაწილეობა მიიღეს. განსა-  
კუთრებით ამ ოში ისახელეს ქართველმა მთიელებ-  
მა, რომელთაც მიმაცობისათვის ნაკურთხი ჯვარი  
ეშობათ, რომელი ჯვარიც ტანისამოსზე უნდა დაე-  
კერებიათ, აი, სწორეთ ამით აიხსნება, რომ დღეს  
ხევსურებში მტკიცედ დაცულია ჯვრის დაკერება  
ტანასამოსზე.

ჯვაროსანთა ოში ქართველების მონაწილეო-  
ბამ ხელი შეუწყო ქართველი ერის. დაახლოებას  
ევროპიელებთან. მათ შორის მეგობრობის განმტკი-  
ცების ხელს უშლიდა ბიზანტიის იმპერიის დაცემა  
**1451** წ., რაღვანაც ოსმალნი ქართველებს გზას უკ-  
რავდენ ევროპაში სამგზავროდ, ოსმალონი კარგათ

გრძნობდენ, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ქართველების დაახლოებას ევროპიელებთან და ამიტომაც ყოველ გვარათ სცდილობდენ ევროპისკენ გზის შეკვრას და საქართველოს დაპყრობას.

რუსები ქართველებმა კარგად გაიცნეს XII საუკ. შემდეგ, როცა ოაეარ მეფე ანდრია ბოლოლუბსკის შვილზე გათხოვდა. ამის შემდეგ ქართველებმა 1491 წელში დაიწყეს მიწერ-მოწერა, კაცების გაგზავნ-გამოგზავნა და დახმარების თხოვნა. შემდეგ დროს, ანუ 1901 წ. და 1810 წ. საქართველო ხომ სრულიად შეუერთდა რუსეთის სახელმწიფოს. აქვე მოვიყვანთ ცნობას, თუ რომელ სახელმწიფოს, რომელ საუკუნეში მიმართეს ქართველებმა:

იტალიას ქართველებმა მიმართეს XIII საუკ., როცა მათ რომის პაპებს დაუწყეს მიწერ-მოწერა. პოლონეთს — XVI საუკ. და ამის შემდეგ ქართველთა ცნობა პოლონეთში XVIII საუკ. არ შეწყვეტილა; საფრანგეთს — XVIII საუკ. დამდეგიდან; ესპანიას — XVII საუკ. ნახევრიდამ; პორტუგალიას — XVIII საუკ. ნახევრიდამ; ავსტრიის იმპერატორს — XVIII საუკ. ნახევრიდამ; ინგლისს — 1780 წ. აკადემიკოსის გულდენშტეტის მოგზაურობის შემდეგ; ვენეციის რესპუბლიკას — 1780 წ.

ქართ. სხვა სახელმწიფობთანაც ჰქონდათ მიწერ-მოწერა ხოლო ჩვენ მათი ცნობები არა გვაქვს, ამიტომ აქ მარტოდ ესენი მოვიყვანეთ. ქართველთ ევროპის ერთან მიმართვის მიზეზები ბევრნაირია. ამის ახსნას აქ მოკლეთ შევეხებით.

ისლამის გაძლიერების შემდეგ, მუსულმანებმა შთელ აღმოსავლეთში მცხოვრებ ერების ისლამთან დაკავშირება განიძრახეს ამ მიზნის განსახორციელებლათ, მათ ბევრი მოდგმა ააოხრეს, გარდა ქართველი ერისა, რომლის შემუსვრაც მათ ვერ შესძლეს.

მართალია, სამცხე-საათაბავო 1580 წ. დაიმორჩილეს, ხოლო 1627 წ. სრულიად დაიმონეს და ათაბაგობაც მოსპეს, რას შემდევაც 1635 წ. ქართველებს ისლამთან დაკავშირებაც დაუწყეს, მაგრამ სრულიად საქართველოს დამორჩილებას, ქართველთა მეფობის მოსპობას კი ვერ ახერხებდენ, ოსმალეთმა, რომელმაც დაამხო 15-მდე სამეფო ვერ დაამხო საქართველო. ქართველი ერის საქმე ისე მოეწყო XV საუკ. შემდეგ, რომ საქართველოში, ქართველთ შორის, ქუდზედ კაცის ძანილის მეტია არა ისმოგარა; ქართველები სულ მუდამ მზად იყვნენ მტერთან საბრძოლველად.

სპარს-ოსმალთა ძალიან სურდათ საქართველო ისლამს დაკავშირებოდა; სჯულის გამოცვლით უნდოდათ ქართველთა მეფობა მოესპოთ, უამისობა მათგან არ შეიძლებოდა, ვინაიდგან თუ საქართველოს სამეფო დაურღვევლელდა დარჩებოდა, მაშინ იგი ქლისტიანობას შეინარჩუნებდა და ეს კიდევ ხელს შეუწყობდა კავშირი ქონებოდათ ევროპიელებთან და ნამეტურ რუსებთან. ამიტომაც XVII საუკ. დამდეგიდამ, ისმალ-სპარსნი, შირვანელნი და სხვანიც შეერთდენ ერთად და მათ საბოლაოდ გადაწყვიტეს ქართველი ერის მოსპობა.

ამ განზრახვის შესასრულებლად მუსულმანებმა შემდეგი გეგმა შეიმუშავეს; კახეთი და ქართლი უნდა დაეპყრა სპარსეთს, და თუ იქ ქართველობა ისლამს არ იწამებდა, მაშინ კახელები სპარსეთში უნდა გადაესახლებიათ. ქართლელები კი ამოეწყვიტათ და ამით დაესრულებიათ საქმე. იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და გურია ოსმალეთს უნდა დაეპყრნა და მასთან ცდილიყო ისლამთან მათ დაკავშირებას, ან სრულიად მოსპობას, გაწყვეტას ზემო ქართლის შესახებ კი მათ ფიქრი არ ჰქონდათ, რადგანაც იგი 1580 უკვე მოხარკეთ გახდეს და შემდეგ ხომ 1627 წ. დაიმონეს, ხოლო 1645 წ. ისლამსაც დაუკავშირეს.

მუსულმანთა გადაწყვეტილება ქართველებმაც კარგათ იცოდენ, ესენი გაცეცხლებული იყვნენ ამაზე და ამიტომ ისევ გაწყვეტას რჩეობდენ, ვიდრე მუსულმანთა მონობას და ისლამის „მიღებას. ქართველები ხშირათ უპასუხებდენ ხოლმე სპარს-ოსმალთ, XVI საუკუნის შემდეგიდან: „ნეენ აღვიარებთ ოსმალ-სპარსთა ფლობას, გაძლევთ ხარჯა, ვართ თქვენი ერთგულნი, სხვა ჩვენ შეწუხებას თავი გაანებეთო“, მაგალითად, სჯულის გამოცვლას ქართული ენისა და წიგნის დავიწყებას, რაზეც ყოველთვის უარს ეუბნობოდენ მუსულმანები ქართველებს.

რაჯი საქართველო ოსმალ სპარსთა სრულიად ვერ დაიმორჩილეს და რაყი ვერც ისლამი მიაღებინეს ყევლას საერთოდ, ამცნეს ქართველებს, რომ ქართლისა და კახეთის მეფენი დამტკიცებული არ

იქნებოდენ, ვიდრე იგინი შეს, ისლამს არ მიიღებენო, ამის ხანა იწყება XV საუკ. დამდეგიდამ, ასევე უნდა მოქცეულიყვნენ იმერთა. მეფენიცა და მთავრებიც, რომელთაც ფიცი უნდა მიეღოთ ხონთქრის წესით და ერთგულება გამოეცხადებიათ მისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ხონთქარი მათ მეფეთ ან მთავრად არ დაამტკიცებდა. ქართლისა, კახეთისა და იმერეთის მეფენი მუსულმანურის წესით უნდა გამეფებულიყვნენ. ოსმალ-სპარსთა ბრძანებით, ქართველი მეფენი ერთ დროს ასეთ ბეჭედს ხმარობდენ წარწარით: „მონა მღვთისა, ფეხთა მტვერიცათა სწორის ყაენისა; მეფე ქართლისა და კახეთისა არაკლი“ ოსმალეთმა იმერთა მეფეს ასეთი სახელის ტარების ბრძანება მისცა:

„მონა მღვთისა, ყმა ხონთქრისა, მეფე იმერეთისა“ ასე დამცირება ქართველებს და ანუ „ვალი გურჯისცანის“ წოდება დიდათა ემბიმებოდათ, სწყინდათ, ვერ ითმენდენ, მაგრამ რას იზამდენ; როცა ერთ კაცზე ასი ოსმალო მოდიოდა და ქართველთაგან აუარებული სისხლიც იღვროდა. ერთა ზოგიერთი ისეთი ქართველიც, რომელიც ასეთ რჩევას იძლეოდა: მივიღოთ ისლამი, ვადიდოთ მუჰამედი, თუ ამით გადავრჩებით გაწყვეტას: სამეფოს დამხობას, ქართველობის შერჩენას; სჯული-სჯულია, ამით ზარალი არა იქნება რაო!!

ასეთის აზრის ხშირად თვით სასულიერო პირნი და მღვდელმთავრებიც კი იყვნენ. ასეთი იყო გონიერი მეფე როსტომი, მუსულმანობაში ხოსრო

მირზა, კაცი გონიერი და ცხობილი, დოუთ ხანი, შარიე ზადიეს „კარაბაღინის“ მთარგმნელი, დავით იმამ-ყული ხანი, საქართველოს ისტორიაში ყველა ეს მეფენი დიდათ იქებიან, შავ ნავაზი, ნაზარ ალი-ხანი, ირაკლი I პოსეინ ყული ხანი, ხახტანგ მეექვე და ბევრიც სხვა. მღვდელმთავრებში: ევთიმე ეპისკოპოსი, რომელმაც სპარსეთში ისლამი აღიარა, და დომენტი კათოლიკოზი ორივე მწიგნობარი იყო. სხვებს ჩვენ არ ვასახელებთ. დომენტი კათალიკოსმა ისლამისა და ცოლის შერთვაც კი ისურვა, თუ კი მას მეფეთ დაამტკიცებდენ.

ასეთ პირებში მართლაც ხშირად იყვნენ ისეთი ენერგიული გმირნიც, რომელნიც ისლამის მიღებით საქართველოს ერს დიდათ შველოდენ, იფარავდენ აუარებელი სისხლის ღვრისაგან, ქვეყანასა და ერსაც შშვიდობას ანიჭებდენ. შეიძლება თამამად ითქვას, ვართლაც, რომ ქართველები ისლამს დაკავშირებოდენ, მთელს საქართველოს ერს ისლამი ეღიარებინა, მაშინ იქნება საქართველოს ერთი სამეფო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ არ გაყოფილიყო, არც ქართველთა გადასახლება დაწყებულიყო, არც საქართველოს განადგურება მომხდარიყო და ქართველი ტომი, ისლამის წყალობით, უვნებლად გადარჩენილიყო.

ამას ჩვენ იმიტომ ვფიქრობთ, რადგანაც ას-მალ-სპარსთა დავალება სულ მუდამ ეს იყო, — მიიღეთ ისლამი და ჩვენ მის შემდეგ ხმასაც არ გაგცემთო, ამისთვის დადალეს ქეთევან დედოფალი, დახხრჩეს ლუარსაბ მეფე, დიმიტრი. გამოასაჭურისეს

თეიმურაზ პირველის ორი შვილი ლევანი და არჩილი, რის შემდეგაც დაიხოცნენ კიდეც. ამის მაგალითი ბევრი იყო ჩვენს ისტორიაში. ქართველების გამუსულმანება, რომ მომხდარიყო მაშინ არც შაჰბაზი და მისი მსგავსები შემოვიდოდნენ საქართველოს ასაკებელთ.

მაგრამ ასე არ მოხდა, არც მოხდებოდა, რადგანაც ქართველებს ამის სურვილი არ ჰქონდათ.

„ჩვენს მიწა მამულზე გავწყდებით, მოვისპობრთ, ვერც ისლამს მივიღებთ, ვერც მეფობას მოვსპობთ. და თუ ჩვენის ძალლონით არა გამოვიდი რა, მაშინ ევროპიელთ, ან რუსებს დაუკავშირდებით და ჩვენი მტრების სურვილს კი არ ივასრულებთო“.

ასე მკაცრად მიტომ იყვნენ ქართველნი, რადგანაც იგინი თავს დამცირებულათ სთვლიდენ. მთელი ჩვენი უბედურება, მთელი ჩვენი სისხლი, ცრემლი და გაწყვეტა-მოსპობა სულ სჯულის გამო იყო ატეხილი. ქართველი ერი ქრისტიანობის გულისთვის ეწამა, თვით ქრისტესავით. მე ამის განხილვაში არ შევალ თუ ქართველებს რა მოვუკიდოდათ, რას იპოვიდნენ იმის შემდეგ, როცა ისინი ისლამს დაუკავშირდებოდნენ, ვინ იცის, იჭიებ კარგიც ყოფილიყო მათის ქვეყნისათვის და ავიც. ამაზედ ისევ ჩვენის ძველების აზროვნებით უნდა ვისაუბროთ.

ქართველები ოსმალ სპარსელებზე გაბრაზებულები იყვნენ, ესენი მათ უმშერდენ, როგორც მტრებს, როგორც თავის გამანადგურებელთ. ქართველების გაბრაზება უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მე-17 საუკ. ოსმალთ სამცხე დაიპყრეს.

მიტომ ქართველების თანაგრძნობა უფრო ეპრობისკენა და რუსეთისკენ. იყო. რუსეთსა და ევროპასთან დაკავშირება მიმართებაზე ჰქადაგებდენ არა მარტო სამლენელოება, არამედ ერის კაცნიც ჩვენ.

ისტორიით ვიცით, რომ ქართველთ მეფენიც ამის  
მონატრენი იყვნენ, რასაც მოწმობს სხვადასხვა ცნო-  
ბა და შემდეგი მოსაზრება ქართველ ერისა და მე-  
ფებისა.

მუსულმანთა ხელში ჩვენ ვერ დავწინაურდე-  
ბით, და რაცა გვაძეს ამასაც დავკარგავთო. ევრო-  
პიელნი ორჯერ მაღლა დგანან მუსულმანებზე, ამი-  
ტომ ჩვენც მათ ხელში ყოფნა გვირჩევნია, ვიდრე,  
ისეთი ხალხის ხელში ჩავარდნა. სადაც სჯულსა და-  
ვკარგავთ და ვერც სხვა საქმით წიავლთ წინაო, ამ  
აზრის იყო ქართველების უმრავლესობა, ამიტომ ქა-  
რთველებმა XV საუკუნის დამდევიდამ მთელს ევ-  
როპაში კაცების გზაზნა დიწყეს და ოხოვა მფარვე-  
ლობისა და შველის შესახებ. ასეთ საქმეების სამზა-  
დისში პირველი ადგილი უნდა დაეთმოს კათოლიკის  
ბერებს. ესენი იყვნენ ქართველ მეფეთა დიპლომა-  
ტები, დესპანნი, ელჩი, მთარგმნელი ფრანგულ ლა-  
თინურ, იტალიურ და სხვა ენების, მასთან მასწა-  
ლებელნიც, რომელნიც ქართველ მეფეებს აცნობე-  
ბდენ და ასწავლიდენ ევროპის საქრისტიანო სახელ-  
მწიფო ცხოვრების პირობებს, სჯულის, განათლების  
სკოლების, ხელოსნობის, ვაჭრობისა და სხვათა შე-  
სახებ ცნობებს, რითაც ქართველთა მეფენი ყოველ-  
თვის აღფრთოვნებული რჩებოდნენ. ევროპიელთისე  
უყურებდენ, როგორც სამაგალითო წმინდა ნასწა-  
რელთ, მოხერხებულ ხალხს.

კათოლიკის მისიონერების ჩაგონებით, ყველა  
ქართველი მეფე მზაო იყო, რომ ევროპის რომელი-  
მე საქრისტიანო სამეფოს დაკავშირებოდა და მით  
ეხსნა ქვეყანა და ხალხი მუსულმანთა დევნისაგან.

XVIII საუკ. ნახევარს, ქართლი-კახეთის შეერ-  
თების შემდეგ, ქართველთა შორის, უკვე ნათლად

f 551

გაირკვა ის აზრი, რომ მათთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, ევროპის რომელიმე განათლებულ სახელმწიფოს დაკავშირებოდა. ეს გარემოება იმანაც გამოიწვია, რომ XVIII საუკ. ერეკლემ მეორე კახეთში ქართულის წესით გამეფდა და ტახტზე ავიდა. მან უარპყო მუსულმანურის წესით გამეფება, თავიზე ბეჭედზე „ფეხთა მტვერიც“ წაშალა და „ვალი გურჯისტანისაც“. ერეკლე მეფის ასეთ სიმაგრეს და სიბეჭითეს პაატა ბატონიშვილიც აძლიერებდა და აცხოველებდა, რომელიც მეფე ერეკლეს კარზე სცხოვრებდა. პაატა ევროპაში გაზრდილი იყო, ევროპიული განათლება ჰქონდა მიღებული, რამდენჯერმე იყო ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას, ესპანიას, ავსტრიას, და პრუსიას. ამის რჩევაც მეფე ნრეკლეს წინაშე სულ ეს იყო, ან ევროპას, ან რუსეთს დაუახლოვდით და დაუკავშირდით.

ბოლოს, ანუ დღეს, ჩვენ მიულოცავთ ევროპიელს, ანუ ინგლისელ განათლებულს და აწ განსვენებულს მარეორი უორდროპის ასულს, რომელსაც დიდათ სურდა საქართველოს მკვდრეთით აღდგენა და ევროპასთან დაახლოვება, მიულოცავტ განსვენებულის მარეორა უორდროპის ასულის საფლავი, რომ განსვენებულ აწ შეუსრულდა წადილი და საქართველო ევროპას და ინგლის დაუახლოვდა.

გ. ჭ.



947.922

551

ଓৱেৰ ৫ ১৯৬.

স্তোমৰা কালাজ্ঞতা প্ৰয়োগিসা.